პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (6246)

1978 წ. 28 სექტემბერი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ორი კოლექტივი, ორი ხასიათი

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

□

**ცნობილი** ჭეშმარიტებაა, რომ სპორტული კოლექტივის წარმატებას მარტო ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება როდი უზრუნველყოფს. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მზადყოფნას, სათამაშო დისციპლინასა და კოლექტივიზმს. სამწუხაროდ, წინასწარ შეხვედრებში სწორედ ეს თვისებები აკლდათ ჩვენს ჭაბუკ ხელბურთელებს, თორემ სპეციალისტების საერთო აზრით, მათ საპრიზო ადგილის მოპოვების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. გუშინ ქართველმა ხელბურთელებმა ანგარიშით 29:21 დაამარცხეს სომხეთის ნაკრები და მეცამეტე ადგილი დაიკავეს.

ტაშკენტში გამგზავრებამდე ჩვენმა ჭაბუკებმა ბევრ საკავშირო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და ყველგან წარმატებით იასპარეზეს. ამიტომ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მოპოვებული მეცამეტე ადგილი აშკარად არ შეესაბამება გუნდის ძალას.

სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება დატოვეს ხელბურთელმა გოგონებმა. ეს კოლექტივი ყველა მატჩს დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ატარებდა. გუშინ საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ნაკრები (ისინი VII-XII ადგილისთვის იბრძვიან) შეხვდა ესტონეთის გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 14:13. თუ როგორ განაწილდება ადგილები მეორე ფინალურ ჯგუფში, ეს ბოლო ტურის შეხვედრების შემდეგ გაირკვევა.

ფინალური თამაშების II ტურის მატჩები გამართეს წყალბურთელებმა. საქართველოსა და ყირგიზეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 11:11.

გუშინ შეჯიბრებაში სპორტული ტანვარჯიშის ნორჩი ოსტატები ჩაებნენ. სარბიელზე პირველად ჭაბუკები გამოვიდნენ. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ჩვენი გუნდი VII ადგილზე იმყოფება.

III ტურში საქართველოს მოჭადრაკეთა მეტოქე იყო ლიტვის ნაკრები. ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა — 2,5:2,5. სამი პარტია გადაიდო.

## ჩოგბურთი

## ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი თბილისელია

**სპორტულად** დაძაბული, დრამატული ბრძოლით აღინიშნა დონეცკში საკავშირო ჩემპიონატის ვაჟთა ერთეულების „თბილისური ფინალი“ ა. მეტრეველსა და თ. კაკულიას შორის. პირველი ორი პარტია დიდი უპირატესობით მოიგო მეტრეველმა (6:1, 6:1), მომდევნო ორში ასეთივე ანგარიშით იმარჯვა კაკულიამ და აი, მეხუთე, გადამწყვეტი პარტიაც. კაკულია იგებს 5:1 და ამასთან თავის მოწოდებაზე „მატჩ-ბოლი“ აქვს. მაგრამ მეტრეველმა გაათანაბრა ანგარიში და გამარჯვებასაც მიაღწია — 7:5. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, 33 წლის ა. მეტრეველმა ერთი წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიბრუნა უძლიერესი საბჭოთა ჩოგბურთელის სახელი.

გუშინ საღამოს, ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს გაიმართა ქალთა ერთეულების ფინალი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველები ნატალია ჩმირიოვა და ელენე გრანატუროვა.

## 6 თბილისელი — ნაკრებ გუნდებში

**გუშინ** საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში საკავშირო ფეხბურთის სამმართველოდან მოვიდა დეპეშა, სადაც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებში შეყვანილია თბილისის „დინამოს“ 6 მოთამაშე: პირველ ნაკრებში — **ვ. გუცაევი** და **თ. კოსტავა**, მეორე ნაკრებში — **თ. სულაქველიძე**, ხოლო ახალგაზრდულ ნაკრებში — **რ. შენგელია**, **ვ. დარასელია** და **ტ. დურდიაძე**.

ჩვენი ქვეყნის პირველ ნაკრებში მიწვეულია, აგრეთვე, თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **ნ. ახალკაცი**. იგი საბჭოთა ნაკრებთან ერთად გაემგზავრება თურქეთში, სადაც გუნდი 4 და 6 ოქტომბერს ამხანაგურ მატჩებს გამართავს ადგილობრივ ფეხბურთელებთან.

## ფრენბურთი

**რომის** „პალაცო დელო სპორტში“ გაიმართა ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის მორიგი შეხვედრები ჯგუფებში, რომელთა შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — 3:1, იტალია — გდრ — 3:1, პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია — 3:1, იაპონია — მექსიკა — 3:0.

ჩემპიონატზე გუშინ ნახევარფინალური შეჯიბრების უკანასკნელი შეხვედრები გაიმართა.


ეროვნული ბიბლიოთეკა



**სურათებზე:** სსრ კავშირის თერთმეტგზის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი (ზემოთ) და ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი თეიმურაზ კაკულია.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



## ველოსპორტი

## მშვიდობით, ტანდემებო

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

●

სპორტსმენთა ჯგუფი ტრეკის წრეზე სწრაფად მიეშურება წინ. დროდადრო მონაწილეებს თანაგუნდელები ისე ცვლიან, როგორც ეს მძლეოსნური ესტაფეტის დროს ხდება ხოლმე, ოღონდ ყოველ კოლექტივში მხოლოდ 2-2 ველოსიპედისტია. ასე გრძელდება მანამ, ვიდრე ყველა სპორტსმენი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებულ 100 წრეს არ შემოივლის.

ესენი წყვილთა ჯგუფური რბოლის მონაწილენი არიან, რომლებმაც ექვსდღიან შეჯიბრებაში 1200 წრე უნდა გაიარონ (ყოველდღიურად ორ-ორი ეტაპი ეწყობა) და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა.

ყოველ ეტაპზე 10 საშუალედო ფინიშია. ფინიშებთან შეფასებას ის ოთხი წყვილი იღებს, რომლებიც მოწინაალმდეგეებზე მარჯვენი აღმოჩნდებიან. ყველა გამოსვლა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ სპორტსმენები ბრძოლას თითქოს ახალი ენერგიით იწყებენ და ყოველი ეტაპის მერე განვლილ ბრძოლებში დაშვებული შეცდომების გაანალიზების საშუალება ეძლევათ.

ორი ეტაპის მერე ლაწინაურდა მოსკოველ ა. ილარიონოვისა და მოლდაველ ი. რიბაჩენკოს დუეტი, რომელმაც უპირატესობა მესამე ეტაპზეც შეინარჩუნა. მათ ამ ეტაპზე 24 ქულა მოაგროვეს, 6 ქულით მეტი, ვიდრე რიგელებმა ა. მარტისონმა და ა. გურამმა. 3 ეტაპის ჯამში ილარიონოვ — რიბაჩენკოს წყვილი უახლოეს მეტოქეებს უკვე 9 ქულითასწრებდა.

მაგრამ წინ ბრძოლების კიდევ სამი დღეა და იოლი მოსალოდნელია, რომ ლიდერებმა პოზიციები დათმონ, ვინაიდან ამ შეჯიბრებაში, რომელშიც ქვეყნის ნაკრების რამდენიმე უძლიერესი ველოსიპედისტი ვერ მონაწილეობს (ისინი, რომელთა შორის თბილისელი ვ. ჩევარდოვიცაა, საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად გფრ-ში იმყოფებიან), არაერთი ძლიერი წყვილი გამოდის. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავენ ი. ზიმენკოვისა („შრომითი რეზერვები“) და თ. კიკნაძის („განთიადი“) დუეტი. ბიჭები წარმატებისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავენ, მაგრამ ტაქტიკური მომზადება აშკარად აკლიათ, განსაკუთრებით პარტნიორის შეცვლის მომენტში...

ამ ჩემპიონატის პროგრამაში იყო, აგრეთვე, ტანდემებით რბოლა, რომელიც, როგორც სპეციალისტებმა გაგვანდეს, უკანასკნელად ჩატარდა — ამიერიდან ორადგილიანი ველოსიპედები არქივის საკუთრება გახდება, მიზეზი ის გახლავთ, რომ ტანდემებით რბოლა საერთაშორისო შეჯიბრებების, მათ შორის ოლიმპიადების პროგრამებიდანაც ამოუღიათ.

თბილისის ტრეკზე ამ სახეობის ოსტატები უკანასკნელი მედლებისთვის ორ დღეს იბრძოდნენ. სპრინტერებს 4-4 წრე უნდა შემოევლოთ. უძლიერესები ბრძოლას აგრძელებდნენ, მანამ, ვიდრე ჩემპიონთა ვინაობა არ გაირკვეოდა.

მაყურებლებმა პირველად ნახეს ერთ მანქანაზე ამხედრებული ძმები — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვიქტორ და სერგეი კოპილოვები, რომლებიც ამჯერადაც რსფსრ-სა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ინტერესებს იცავდნენ (წინასწარ ვიტყვით, რომ ნახევარფინალში მხოლოდ შეიარაღებული ძალების 4 დუეტი გავიდა).

ისე, როგორც ჩვეულებრივ სპრინტერულ რბოლაში, აქაც გუნდებს ორ-ორი ცდა ეძლევათ და თუ მან უძლიერესი ვერ გამოავლინა, საჭირო ხდება მესამე, დამატებითი ცდა, მაგრამ კოპილოვებს მესამე ცდა არც ნახევარფინალში, არც ფინალში არ დასჭირვებიათ. ძმებმა ჯერ ა. ტომბერგი და ი. ეგოროვი (ლენინგრადი) დაამარცხეს — 2:0, მერე კი, ფინალში ასეთივე ანგარიშით მოუგეს ტულელების — ვ. ბულგაკოვისა და ვ. ალექსეევის წყვილს, რომლებმაც ფინალში გზა ძნელ ბრძოლაში გაიკვლიეს — ა. კარპუშკინსა და კ. ხრაბცოვს (რსფსრ) მესამე დამატებით ცდაში აჯობეს. მათ სწორედ ამ ცდაში შეძლეს უკანასკნელი 200 მეტრის 10,6 წამში გავლა, რაც იმ მომენტში ტურნირის საუკეთესო მაჩვენებლად ითვლებოდა. ეს შედეგი მხოლოდ ფინალში გააუმჯობესდა და ორივეჯერ მისი ავტორი კოპილოვების დუეტი იყო.

ამრიგად, ტანდემებით რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონის ბოლო ოქროს მედლები ტულელმა ძმებმა მოიგეს, ვერცხლის მედლები ბულგაკოვსა და ალექსეევს ხვდათ წილად, ბრინჯაოსი — კარპუშკინ — ხრაბცოვის დუეტს.

ფინიშის შემდეგ ჩემპიონების მწვრთნელმა ს. მაქსიმოვმა გვითხრა, რომ ველოსპორტის ამ საინტერესო სახეობის გაუქმება სინანულს იწვევს, ვინაიდან ტანდემებით ასპარეზობა სპორტსმენებს კოორდინაციის უნარს უმუშავებს, რაც ესე საჭიროა სატრეკო ველორბოლისთვის.

ჩემპიონატი გრძელდება.

ო. ბელაშვილი.



**სურათებზე:** ტანდემებით რბოლაში სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონები — ძმები ვ. და ს. კოპილოვები; ჯგუფური რბოლა (ზემოთ).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.






## საქართველოს ზონალურ პირველობაზე

# ისევ დაბალი შედეგებით



**თეთრი** წყაროსა და მესტიის გუნდები ტყიბულში სასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ. მესტიის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა რესპუბლიკურ ზონალურ ტურნირებს სისტემატურად თავს არიდებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ რაიონის კოლექტივებში მშდ კომპლექსის დანერგვა-განვითარებისთვის არ ზრუნავენ. მაშ ნიშნოსანთა მომზადების გეგმებს როგორღა ასრულებენ?

შეიძლება ორი გუნდის ჩამოუსვლელობის მიუხედავად, თუ განაცხადებს დავუჯერებთ, სასპარეზოდ 106 ოქროს სამკერდე ნიშნოსანი შეგროვდა. ისინი ტყიბულის, წყალტუბოს, ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის გუნდების წევრები არიან, რომლებმაც საბოლოო გუნდურ ჩათვლაში ადგილებიც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს.

მართალია, მასპინძლებმა — ტყიბულის სპორტსმენებმა ჯამში 313 ქულა მოაგროვეს (სხვადასხვა საფეხურის ნიშნოსანთა ასპარეზობაში 4 გამარჯვება და 1 მეორე ადგილი მოიპოვეს), მაგრამ განა მეშახტეთა ქალაქის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების კომპლექსის ნიშნოსნების ხარისხობრივი მომზადებისთვის ზრუნვის დაბალ დონეზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ გუნდის 20 წევრიდან (22-ის ნაცვლად 20-კაციანი გუნდით გამოვიდნენ) თხუთმეტმა „ნული" მიიღო? მაშ როგორღა მოხვდნენ გუნდში ო. კალიხანოვი (I საფეხური), ვ. რასოლოვი და ტ. ოსიპოვა (II საფეხური), მ. სოხაძე, ქ. გაბრიაძე (ორივე — III საფეხური), ა. გვიშიანი (IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი) და ნ. კერესელიძე (IV საფეხურის მეორე ასაკობრივი ჯგუფი) და სხვები, რომლებიც თანდათან გამოეთიშნენ ტურნირს? როგორი ოქროს სამკერდე ნიშნოსნები არიან, თუ მათთვის ასეთ დიდ შეჯიბრებაში ქულების მინიმუმის მოგროვებაც ვერ შეძლეს?

წყალტუბოსა და ონის სპორტკომიტეტები ხარჯებს არ მოერიდნენ — სრული გუნდები (22-22 მონაწილე) ჩამოიყვანეს, მაგრამ წყალტუბოელებს ქულები მხოლოდ ხუთმა სპორტსმენმა მოუპოვა, ონელებს კი ჩათვლა მარტო რ. მაისურაძემ მისცა — III საფეხურის ნიშნოსან ვაჟთა შეჯიბრებაში 49 ქულა მოაგროვა და III ადგილზე გავიდა. რას ფიქრობდა ამბროლაურის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ბაკურაძე, როცა ოთხი დღით სწავლასა და შრომას მოწყვიტა 15 მოსწავლე და საკონსერვო ქარხნის 3 მუშა, რომელთაგან არც ერთს შეჯიბრების ფინიშამდე მისვლის უნარი არ აღმოაჩნდა? ან ონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ქოჩლაძე რისთვის აგზავნიდა ტყიბულში 21 აშკარად მოუმზადებელ ნიშნოსანს?

ამ ზონაში მონაწილე რაიონებში (და რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონსა და ქალაქშიც) ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ მშდ კომპლექსის მრავალჭიდის განვითარებისთვის და მხოლოდ მშდ ნიშნოსნების მომზადების გეგმების შესრულებით კმაყოფილდებიან, ეჭვი არ გვეპარება, ისინი ამ წარმატებებს მიწერებით აღწევენ.

აბა რით უნდა ავხსნათ, რომ რაიონებში, სადაც ყოველწლიურად ასობით და ათასობით ნიშნოსნებს ზრდიან, ერთი ათეული მრავალჭიდელიც არ ჰყავთ, რომლებიც ზონალურ ტურნირში თავიანთი გუნდის ინტერესების დაცვას შეძლებენ?

ტყიბულის ბაზებზე გამართულ ტურნირში მონაწილეთაგან არც ერთი სპორტსმენი არ აღმოჩნდა, რომელიც თუნდაც ერთ რომელიმე სახეობაში ქულათა მაქსიმუმს (45) დაიმსახურებდა, ის კი არა, საუკეთესო მაჩვენებელი 20 ქულას არ გაშორებია. ორი ასეთი შეფასება მიიღო ტყიბულელმა ე. გაბზიძემ (III საფეხური, ცურვაში — 1.32,4 და სროლაში — 100-დან 82) და საბოლოოდ 93 ქულით გამარჯვება მოიპოვა. სამწუხაროდ, აქ მეორე პრიზიორი არ გამოვლენილა.

კიდევ ერთი ფაქტი. II და IV საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე 35 სპორტსმენს შორის ვერავინ შეძლო ტურნირის დამთავრება. მაშასადამე, 14-15 წლის გოგო-ბიჭებსა და 29-39 წლის მოზრდილებთან მუშაობის დონე ყველგან ნულამდეა დასული.

ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულმა გუნდებმა და სპორტსმენებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე გამართულ მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა რესპუბლიკურ ფინალურ ტურნირში, რომელიც მალე ჭიათურაში ჩატარდება. იქნებ იმ სტარტებისთვის მაინც შეძლონ უკეთ მომზადება ზონის ჩემპიონებმა, ტყიბულელებმა ე. რიმარმა (გოგონების I საფეხური, 60 ქულა), თ. სირაძემ (ბიჭების III საფეხური, 73 ქულა), ვ. ალექსანდროვამ (IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი, 46 ქულა), ლენტეხელებმა რ. მუსელიანმა (ვაჟების IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი, 61 ქულა), ნ. ონიანმა (V საფეხური, 59 ქულა) და წყალტუბოელმა ქ. ქობალიამ (ბიჭების I საფეხური, 48 ქულა).

როგორც აღვნიშნეთ V საფეხურის ნიშნოსანთა ტურნირში გამარჯვება ონიანს დარჩა. ეს იმან განაპირობა, რომ საქართველოს ნაკრების წევრი, ტყიბულელი გ. ძოწენიძე, რომელსაც უკვე 71 ქულა ჰქონდა მოგროვებული, რატომღაც კროსის დისტანციაზე არ გამოცხადდა. რა თქმა უნდა, თვითონ პირველობა დაჰკარგა, გუნდს კი 80 ქულა მაინც დააკლო.

ვფიქრობთ, ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, წყალტუბოს, ტყიბულის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები იმსჯელებენ მშდ კომპლექსის პროპაგანდისა და დანერგვა-განვითარების საქმეში უკმარი მუშაობის შესახებ.

**გ. გვიშიანი.**

# ახალი სკოლა, ახალი იმედები

**არიან** ადამიანები, რომლებიც სიძნელეებს არასდროს უშინდებიან, მუდამ სხვადასხვა გზებს და საშუალებებს ეძებენ, რათა კეთილი საქმეები აკეთონ.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის თანამშრომლები. კომბინატის დირექტორის ც. მენთეშაშვილის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელაში აშენდა ახალი ორსართულიანი საშუალო სკოლა.

შესანიშნავი სანახავია სკოლის შენობა კეთილმოწყობილი საკლასო ოთახებით, დერეფნებით, კლუბით, სასადილოთი. აქვეა თანამედროვე სტილის სპორტდარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით.

სკოლის დირექტორს ვ. იამალაშვილს და ფიზკულტურის მასწავლებელს გ. ვარძელაშვილს სპორტული იარაღების შეძენასა და მათ დამონტაჟებაში დიდი ჯაფა დაადგათ. გულახდილად რომ ვთქვათ, არც ისე იოლია სპორტდანადგარების შეძენა, მაგრამ როცა გული გულობს და საქმეს ერთგული ადამიანები ემსახურებიან, შეუძლებელი არაფერია. თამამად ვიტყვით, რომ ასეთი სპორტდარბაზი სოფლის კი არა, ქალაქის სკოლასაც კი შეშურდებოდა.

სკოლაში ფიზკულტურული მუშაობის სულის ჩამდგმელია გ. ვარძელაშვილი. სწავლა დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება. სწავლების დღის რეჟიმში დანერგილია „დიდი დასვენება", რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ყოველმხრივ გაჯანსაღებას. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები მაღალ ორგანიზებულ დონეზე ტარდება. მოსწავლეები მეცადინეობაზე ერთნაირი სპორტული ფორმით ცხადდებიან. ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩაბმულია 150 მოსწავლე. აქედან თითქმის ყველა მონაწილეობს მშდ ნორმატივების ჩაბარებაში. ჩატარდება „იმედის სტარტები", შიდასასკოლო სპარტაკიადა. მოსწავლეები საშინაო შეჯიბრებების გარდა აქტიურად მონაწილეობენ სარაიონო ასპარეზობებშიც და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ჩამოყალიბებულია სექციები კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, ფეხბურთში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი ვარძელაშვილს საკმაო გამოცდილება აქვს და უნარიანადაც ხელმძღვანელობს ჭიდაობის ჯგუფებს, იგი ადრე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჭიდაობის კათედრაზე მუშაობდა და მრავალი სახელოვანი ფალავანიც აღუზრდია. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარების პროცესში მის თვალს არ გამოეპარება კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე მოზარდი. სწორედ ამგვარად შეადგინა მან ჭიდაობის ჯგუფი და ამ საქმისათვის ძალასა და ენერგიას არ იშურებს. იგი წვრთნის დროს ყოველთვის ახლის ძიებაშია, სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს იყენებს, რაც მთავარია, ბავშვებს ჭიდაობა შეაყვარა და ისინიც გატაცებით მეცადინეობენ.

სკოლაში გახსნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან სკოლის პედაგოგები და საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის თანამშრომლები. მეცადინეობას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ტანვარჯიშში, კომბინატის ვეტექიმი ვ. აბრამიანი.

საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის ხელმძღვანელების საქმიანობა მარტო ამით არ ამოიწურება, ახლო მომავალში მათ გადაწყვეტილი აქვთ სკოლასთან ახლოს ააშენონ სტადიონი და საცურაო აუზი.

**კ. სალუქვაძე.**

* * *

**სურათებზე:** ვიდრე ზარი დაირეკებოდეს, დილის გამამხნევებელი ვარჯიში ყველასათვის აუცილებელია; ფიზკულტურის გაკვეთილზე; დიდი დასვენების ამსახველი მომენტები (ქვევით).

ავტორის ფოტოები.





# იმარჯვეს მეტალურგებმა

**რუსთავში,** სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში გაიმართა სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ხელბურთში.

ქალთა შორის პირველ ქვეჯგუფში ძლიერად ჩაატარა შეხვედრები მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა, რომელიც ძირითადად მასპინძლებით იყო დაკომპლექტებული. საინტერესოა, რომ მეტალურგებმა თითქმის ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს. მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი იყო სპორტკლუბ „უშბის" (50 წლისთავის სახელობის გაერთიანება) გუნდი.

დაძაბულად წარიმართა ფინალური მატჩი „უშბისა" და „მეტალურგის" გუნდებს შორის, რომელიც „უშბას" (მწვრთნელი ვ. არაქელოვი) გამარჯვებით დამთავრდა მინიმალური სხვაობით — 15:14 (9:10). მომდევნო, მესამე ადგილი წილად ხვდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირის გუნდს.

ვაჟთა შორის პირველ ქვეჯგუფში რუსთაველმა მეტალურგებმა ხუთი შეხვედრა ჩაატარეს და ყველა მოიგეს, ხოლო მეორე ქვეჯგუფში სპორტკლუბ „უშბამ" ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა.

პირველი ადგილისთვის კვლავ „მეტალურგისა" და „უშბის" ხელბურთელები დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. თავიდან „უშბის" ხელბურთელები დაწინაურდნენ და ტაიმიც თავიანთ სასარგებლოდ (13:11) დაამთავრეს, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა მასპინძელთა (მწვრთნელი თ. ხარაიძე) სასარგებლოდ და ანგარიშით 28:25 გამარჯვება მათ დარჩათ. მესამე ადგილზეა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირის გუნდი.

**რ. ბაბრიშიძე.**
(ჩვენი კორ.).

„განთიადის" რესპუბლიკური...

# ქარხნის სასროლეთზე

კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გამართული შეჯიბრება ტყვიის სროლაში კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვების" ტირში ჩატარდა. ცეცხლის ხაზზე გამოსული 10 კოლექტივის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მცირეკალიბრიანი შაშხანისა და პისტოლეტის სროლაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც 160 ქულა მოაგროვეს და 65 ქულით აჯობეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" კოლექტივს. მესამე ადგილი ერგო სპორტკლუბ „უშბას" — 60 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით პირად შეჯიბრებაში პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს ო. სვანიძემ და ქ. კოსმინინმა (ორივე — მანქანათმშენებლობის მუშაკთა კავშირი). განთიადელი პ. მაზანაშვილი მესამე ადგილზე დარჩა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლით სროლა ასპარეზობაში ლ. ძებნიაურმა 600-დან 596 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლ. ბებიაშვილი (591 ქულა) და ტ. რომელაშვილი (586). სამივე სპორტსმენი მანქანათმშენებლების გუნდის ღირსებას იცავდა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სილუეტებზე სროლა მოიგო მათმა თანაგუნდელმა ა. პროზოროვმა — 580. მან მაზანაშვილს 4 ქულით აჯობა. სვანიძე მესამე ადგილს დასჯერდა — 575. მეოთხე ვარჯიშში გაზლდათ მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე სროლა (3×20). აქ უძლიერესი იყო რომელაშვილი — 549.

**რ. შანჭიაშვილი.**

# უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**ხოგვუავს** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის სტატისტიკური მონაცემები.

**„ქაირათი“ — „ტორპედო“ 2:2.** ტორპედოელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (ვანიუშინი, პეტრენკო), ალმაათელმა გურმანმა კი ორივე გოლი გაქვითა.

დუბლიორები — 2:2.

**„ფახთაკორი“ — „ზენიტი“ 3:0.** 2 ბურთი გაიტანა ისაკოვმა, 1 — მაკაროვმა.

დუბლიორთა შეხვედრა არ შედგარა.

**„არარატი“ — „დნეპრი“ 1:0.** მატჩის ბედი გადაწყვიტა „დნეპრის“ კარში 55-ე წუთზე დანიშნულმა პენალტმა. დარტყმა ზუსტად შეასრულა ბონდარენკომ.

დუბლიორები — 2:1.

**„შახტიორი“ — „ნეფთჩი“ 3:1.** გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს სოკოლოვსკიმ, საფონოვმა და ლატიშმა. საპასუხო გოლის ავტორი იყო ტ. აბახოვი. აღსანიშნავია, რომ სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, „შახტიორის“ კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ რახმანოვმა ძელს მოახვედრა ბურთი.

გაფრთხილებულია ბაქოელი იბრაჰიმოვი.

დუბლიორები — 2:0.

**„ზარია“ — ცსკა 1:0.** არმიელთა კარში ბურთი გაიტანა გამულომ.

დუბლიორები — 0:3.

**„დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ 0:0.**

გაფრთხილებულია ლოზინსკი.

დუბლიორები — 1:0.

**„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1.** გოლი გაიტანა კოლესოვმა.

დუბლიორები — 0:2.

## გათამაშების ცხრილი

### სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 24 | 13 | 9 | 2 | 37—19 | 35 |
| „დინამო“ თბ. | 24 | 15 | 4 | 5 | 35—14 | 34 |
| „დინამო“ მ. | 24 | 11 | 8 | 5 | 30—17 | 30 |
| „შახტიორი“ | 24 | 11 | 6 | 7 | 30—19 | 28 |
| „არარატი“ | 24 | 9 | 10 | 5 | 33—21 | 28 |
| „ჩერნომორ.“ | 24 | 10 | 7 | 7 | 23—24 | 27 |
| „ნეფთჩი“ | 23 | 10 | 6 | 7 | 27—26 | 26 |
| „დინამო“ კ. | 24 | 10 | 6 | 8 | 25—23 | 26 |
| „სპარტაკი“ | 24 | 9 | 5 | 10 | 33—23 | 23 |
| „ტორპედო“ | 24 | 9 | 4 | 11 | 34—32 | 22 |
| „ქაირათი“ | 24 | 7 | 7 | 10 | 28—33 | 21 |
| „ფახთაქ.“ | 23 | 7 | 7 | 9 | 25—28 | 21 |
| „ლოკომოტ.“ | 24 | 6 | 6 | 12 | 22—37 | 18 |
| „ზარია“ | 24 | 5 | 6 | 13 | 23—51 | 16 |
| „ზენიტი“ | 22 | 4 | 7 | 11 | 22—40 | 15 |
| „დნეპრი“ | 24 | 0 | 10 | 14 | 15—35 | 10 |

●

# პირველი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ.“ | 30 | 17 | 10 | 3 | 46—21 | 44 |
| ასკ რ. | 30 | 14 | 13 | 3 | 51—27 | 41 |
| „დინ.“ მნ. | 31 | 14 | 11 | 6 | 41—27 | 39 |
| „კარპატი“ | 29 | 15 | 8 | 6 | 43—29 | 38 |
| „თერგი“ | 31 | 14 | 7 | 10 | 45—39 | 35 |
| „ყუბანი“ | 30 | 13 | 9 | 8 | 42—32 | 35 |
| „ქალვირ.“ | 30 | 8 | 16 | 6 | 31—27 | 32 |
| „ნისტრუ“ | 30 | 12 | 7 | 11 | 37—31 | 31 |
| ასკ ოდ. | 30 | 10 | 8 | 12 | 34—40 | 28 |
| „ტორპედო“ | 30 | 10 | 8 | 12 | 30—31 | 28 |
| „ტავრია“ | 29 | 9 | 10 | 10 | 36—32 | 28 |
| „მეტალ.“ | 30 | 7 | 14 | 9 | 30—36 | 28 |
| „კუზბასი“ | 30 | 10 | 7 | 13 | 29—42 | 27 |
| „შინიკი“ | 28 | 10 | 7 | 11 | 28—29 | 27 |
| „პამირი“ | 31 | 7 | 13 | 11 | 36—35 | 27 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 30 | 10 | 5 | 15 | 34—46 | 25 |
| „დინამო“ ლ. | 31 | 7 | 11 | 13 | 42—52 | 25 |
| „ურალმ.“ | 30 | 7 | 11 | 12 | 24—36 | 25 |
| „სპარ.“ ორ. | 31 | 7 | 6 | 18 | 22—43 | 20 |
| „კოლხოზ.“ | 31 | 6 | 7 | 18 | 23—49 | 19 |

# მეორე ლიგა

25 სექტემბერს შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების 2 მატჩი: „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:1, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 4:1.

# ჭადრაკი

## თამაშის განახლებისას...

**გუშინწინ** ბიჭვინთაში ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩში გაიმართა გადადებული მეთორმეტე და მეცამეტე პარტიების დამთავრება. როგორც ვიუწყებოდით, მეთორმეტე პარტია ყაიმით დასრულდა, მეცამეტე ჩიბურდანიძემ მოიგო.

გთავაზობთ ამ პარტიების დამთავრების ჩანაწერებს.

მეთორმეტე პარტია ასეთ პოზიციაში იყო გადადებული:

**თეთრები** (გაფრინდაშვილი): მფg2, ლf6, კc6, პპ. a2, b3, g4 h5.

**შავები** (ჩიბურდანიძე): მფd7, ლg5, კd2, პპ. b4, c5.

თამაშის განახლებისას პარტია ასე გაგრძელდა:

**90... მფc7 (ჩაწერილი სვლა) 91. ლe6 ლd8 92. კf8 ლd6 93. ლf7+ ლd7 94. ლf6 ლd6 95. ლg7+ მფd8 96. g5 ლf4 97. g6 კe1 98. მფf1 ლ:f3+ 99. მფ:e1 ლe3+ 100. მფd1 ლd3+ 101. მფc1 ლe3+ ყაიმი.**

მეცამეტე პარტია შეწყვეტილი იყო ამ პოზიციაში:

**თეთრები** (ჩიბურდანიძე): მფf2, ეa8, პპ. a4, b3, f3, f4, h3.

**შავები** (გაფრინდაშვილი): მფg8, კb7, კf8, პპ. a5, f7, g6, h7.

მეტოქეებმა თამაში ასე განაგრძეს:

**42... ე:a5 (ჩაწერილი სვლა) კd6 43. მფg3 მფf8 44. ეa7 კd5 45. ეd7 კ:b3 46. ე:d6 კ:a4 47. f5 მფg7 48. f6+ მფh6 49. მფf4 g5+ 50. მფe5 მფh5 51. ეd8 კc2 52. ეf8 კb3 53. ეh8 h6 54. მფd6 მფg6 55. მფe7 h5 56. ეg8+ მფf5 57. ეg7 მფf4 58. ე:f7 მფ:f3 59. ეh7 h4 60. ეg7 მფg3 61. ე:g5 მფ:h3 62. მფd6 მფh2 63. მფe5 h3 64. მფf4 კf7 65. მფf3 კe4 66. მფf2 კe6 67. ეg7 მფh1 68. ეh7 შავები დანებდნენ.**

გუშინ მეტოქეებს მეთოთხმეტე პარტია უნდა გაეთამაშათ, მაგრამ იგი არ შედგა. გაფრინდაშვილმა წუთ-შესვენება აიღო (მესამედ). ეს პარტია შაბათს, 30 სექტემბერს გაიმართება.

მატჩის ანგარიშია 7,5:5,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. დარჩენილ სამ პარტიაში ჩიბურდანიძეს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ერთი ქულა სჭირდება, გაფრინდაშვილს ტიტულის შესანარჩუნებლად 2,5 ქულა.

## გაცვლებმა დაზავება დააჩქარეს

როგორც ვიუწყებოდით, გუშინწინ ბაგიოში ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXVI პარტია ყაიმით დამთავრდა.

ახლა გაეცანით ამ პარტიას:

**კარპოვი — კორჩნოი**

**ინგლისური დასაწყისი**

**1. c4 e5 2. მc3 d6 3. g3 f5 4. კg2 მc6 5. d3 მf6 6. e3 კe7 7. მge2 0-0 8. 0-0 ლe8 9. f4 კd8 10. a3 ეb8 11. b4 კe6 12. მd5 b5 13. კb2 bc 14. dc e4 15. მ:f6+ კ:f6 16. კ:f6 ე:f6 17. ეc1 a5 18. b5 მd8 19. ეf2 მb7 20. კf1 მc5 21. მc3 კf7 22. მd5 კ:d5 23. cd მd3 24. კ:d3 ed 25. ლ:d3 ლ:b5 26. ლ:b5 ე:b5 27. ე:c7 ეf7 ყაიმი.**

კარპოვმა მატჩში მეორედ აირჩია ინგლისური დასაწყისი. პრეტენდენტმა თავისი ფიგურები ჰოლანდიური დაცვის ქარგის მიხედვით განალაგა. იგი მეფის ფრთაზე იერიშზე ფიქრობდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა დროულად (მე-9 სვლა) მიიღო ზომები მის დასამუხრუჭებლად. ბრძოლამ ცენტრში გადაინაცვლა. პრეტენდენტის მე-12 სვლას მრავალი გაცვლა მოჰყვა. მერე პრეტენდენტმა შეძლო გაეცვალა მთავარი შემტევი ფიგურები და პარტია ოთხი ეტლის დაბოლოებაში გადავიდა. ამ ენდშპილში თამაშის გართულების შანსი აღარ იყო და მეტოქენი დაზავდნენ.

შეგახსენებთ, რომ კვლავ ლიდერობს ა. კარპოვი — 4:2 (20 ყაიმი).

დღეს, 28 სექტემბერს უნდა გათამაშდეს XXVII პარტია.

# ერთი შეკვეცილი ბრალდების შესახებ

**არგენტინა** და პერუ, უფრო სწორად არგენტინა თუ პერუ?

ორი მაგიური სიტყვა, რომელთა უკან იმალება XI ჩემპიონატის ერთ-ერთი გამოცანა.

არგენტინა და პერუ. ჭეშმარიტება რომ დადგინდეს, ეს ორი საფეხბურთო ცნება არა მარტო უნდა შევადაროთ ერთმანეთს, არამედ დავუპირისპიროთ კიდეც, ვინაიდან არაფერს, თვით ფინალსაც კი არ ჰქონდა ისეთი ვრცელი და ამომწურავი პრესა, როგორიც ამ გუნდების შეხვედრას.

მაგრამ იმისთვის, რომ უფრო უკეთ გავიგოთ გახმაურებული „სკანდალის“ არსი, უფრო ღრმად და ობიექტურად შევაფასოთ მატჩის შემდეგ ატეხილი აჟიოტაჟის ბუნება, კარგი იქნება თუ, ჯერ ერთი, თვალს გადავავლებთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას ფინალის წინ და მეორეც, გავიხსენებთ იმ ძნელ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას, რომლის გავლაც მოუხდა არგენტინაში ჩასვლამდე პერუს ნაკრების უფროს მწვრთნელს მარკოს კალდერონს.

მაშ ასე, 21 ივნისამდე რვიდან 6 გუნდი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მედლებისთვის ბრძოლის შანსებს. 6 გუნდი რვიდან ეს არც ისე ცოტაა ასეთი რანგის ტურნირისთვის. არ ჰქონდათ პერსპექტივა მხოლოდ ავსტრიასა და პერუს, მაგრამ ავსტრიელებმა, მოულოდნელად, 2 ინტენსიური წვრთნა ჩაატარეს კორდობაში სრული დატვირთვით და განაცხადეს, რომ მზად არიან შეებრძოლონ ყოფილ ჩემპიონს.

საიდან ასეთი სიმტკიცე? ან რას მოუტანდა ავსტრიას ეს მატჩი წარმატების შემთხვევაში? ობიექტურად — არაფერს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რასაც მორალური კმაყოფილება ჰქვია. მაგრამ განა ეს ცოტაა? მწვრთნელმა ჰ. სენეკოვიჩმა თავისი პოზიცია უბრალოდ განმარტა: „პრესტიჟს ჩვენთვის მედლებზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს“. კარგი სიტყვებია. ავსტრიას რაღაც კონკრეტული მიზანი გაუჩნდა ფინიშზე.

კალდერონი? ჩემპიონატის წინ პერუს ნაკრებმა რამდენიმე საკონტროლო მატჩი წააგო. მწვრთნელი კინაღამ გადაყვა ამას. ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას შეეძლო საგანგებო ზომების მიღება ამ წარუმატებლობათა გასამართლებლად, მაგრამ თავი შეიკავა. ფედერაციას სჯეროდა კალდერონისა და, რომ საზოგადოებრივი აზრი როგორმე მაინც დაეშოშმინებინა, ხანგრძლივი მოლაპარაკება წამოიწყო ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელთან ბრანდაოსთან, რომელიც იმხანად დაკავებული არ იყო. ბრანდაომ თავისი მოთხოვნები წამოაყენა, ფედერაციამ — თავისი და მოლაპარაკებაც ჩიხში მოექცა. ამასობაში ჩემპიონატიც დაიწყო და ბრანდაოს არსებობა ყველას გადაავიწყდა.

კალდერონმა დრო მოიგო.

მერე კი.. მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოსული პირველი ცნობა ლიმაში ყუმბარასავით გასკდა: პერუმ დაამარცხა შოტლანდია. ეს მართლაც სასწაული იყო, დაუჯერებელი ამბავი. 4 დღის შემდეგ კიდევ ერთი სასწაული, ენით აუწერელი სიხარული — ფრე წინა ჩემპიონატის ფინალისტთან — ჰოლანდიასთან და ბოლოს, გამარჯვება ირანთან. პერუმ პირველი ადგილი დაიკავა ჯგუფში, თანაც გაუსწრო ვიცე-ჩემპიონს. კალდერონის აქციები ერთი-ორად გაიზარდა, იგი ეროვნული გმირი გახდა პერუში.

მაგრამ ლათინური ამერიკის ქვეყნებში არაფერია ისეთი მალდური და სახიფათო, როგორც ფეხბურთის მწვრთნელის დამსახურებათა ნაადრევი აღიარება. კალდერონმა ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ რა უნდა ელონა ახლა, როცა პირველი წარმატებებით გაბრუებულ გულშემატკივრებს ახალი ილუზიები გაუჩნდათ?

ერთი მატჩის მოგება ნახევარფინალში უსათუოდ დააცხრობდა მათს პატივმოყვარულ გეგმებს. ერთი გამარჯვება, მაგრამ ვისთან — ფიქრობდა კალდერონი. ბრაზილიასთან შეუძლებელია! ეს გუნდი თვითონ იბრძვის, და არც თუ უსაფუძვლოდ, ფინალში გასვლისთვის. არგენტინასთან? ესეც გამორიცხულია! დარჩა მხოლოდ პოლონეთი, მაგრამ პოლონეთსაც ხომ აქვს მედლების მოპოვების შანსი?

ყოველი ახალი ტურის შემდეგ ჩემპიონატი ამოუხსნელ რებუსს ემსგავსებოდა, სადაც ყველას ყველაფრის შანსი ჰქონდა, მაგრამ ხელში არაფერი ეჭირა. როგორ შეცდნენ ისინი, ვინც ჩემპიონატს ეჭვის თვალით უყურებდა: აქათ და დაქაბულობა არ არის, უფერულად მიმდინარეობს მატჩები, ბრძოლის შინაგანი დრამატურგიაც მდორედ და სწორხაზობრივად ვითარდებაო. რვიდან 6 გუნდი მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობს, აქ კი სწორხაზობრიობაზე ლაპარაკობენ...

კალდერონმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი მატჩი ბრაზილიასთან წააგო. დამარცხდა იგი პოლონეთთანაც, თუმცა აქ იგი ახლოს იყო მიზანთან. დარჩა კიდევ ერთი შეხვედრა, ერთი პატარა იმედი. არგენტინასთან გამარჯვება რეალურს არაფერს მისცემდა პერუს, მაგრამ გუნდისთვისაც და მისი მწვრთნელისთვისაც ასეთი შედეგი ხსნა უნდა ყოფილიყო.

...21 ივნისი ნახევარფინალების ბოლო დღეა. დღეს ბევრი რამ გადაწყდება, ბევრი სატურნირო გამოცანა თავის ერთადერთ პასუხს მიიღებს. ვიღაცა უსათუოდ გავა ფინალში, ვიღაცა უსათუოდ ითამაშებს ბრინჯაოს მედლისთვის, ვიღაცა კი დროზე ადრე გაუყვება გზას შინისკენ. ჩემპიონატის დებულების თანახმად დამარცხებული მეორე დღესვე სტოვებს არგენტინას, თუმცა დებულებაში არის შენიშვნაც: საკუთარი ხარჯებით რამდენ ხანსაც გინდა შეგიძლია დარჩე ჩემპიონატზე.

პირველი ჯგუფი. ჰოლანდიაც და იტალიაც ფინალში გასვლაზე ოცნებობენ, მაგრამ ბედი ორთავეს თანაბრად ვერ გაუღიმებს. ვაი მას, ვინც დამარცხდება. შესაძლებელია მცირე ფინალშიც ვერ მოხვდეს, თუ კი, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონი მოიგებს ავსტრიასთან. პირველ ჯგუფში ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია. ერთმა უსწორო ნაბიჯმა შეიძლება წყალში ჩაყაროს 3 კვირის თავგანწირვა, შრომა, იმედები.

არც მეორე ჯგუფშია დიდი სიცხადე, თუმცა პერუ სათვალავში აღარ მიიღება. პოლონეთს ბრაზილიასთან წარმატების შემთხვევაში პირდაპირ შეუძლია „გასვლა“ ბრინჯაოს მედლებზე, ე. ი. მას კონკრეტული სტიმული აქვს და, ცხადია, თავის შანსს იოლად არ დათმობს. არგენტინა და ბრაზილია უფრო მაღალ იდეალებს ეპოტინებიან, მაგრამ აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც პირველ ჯგუფში — ან ფინალი, ან მცირე ფინალი, ან არაფერი.

რამდენიმე დღის წინ ბრაზილიამ ერთხელ კიდევ, ამჯერად უკანასკნელად, წამოიკვნესა: რატომ დანიშნეს არგენტინა — პერუს მატჩი მაშინ, როცა ყველა სხვა თამაში უკვე დამთავრებული იქნება? ეს ხომ გარკვეულ უპირატესობას მისცემს ტურნირის მასპინძელს? მართალია, მისცემს, მაგრამ განა ასე არ იყო მუდამ? ჩემპიონატის მასპინძელს, დაუწერელი კანონის თანახმად, ეს უფლება ყოველთვის ჰქონდა, თქვენ წარმოიდგინეთ მაშინაც კი, როცა მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში ჩატარდა. კრიმინალი აქ, რა თქმა უნდა, არ არის, მით უმეტეს, რომ ტურნირის განრიგი რამდენიმე თვის წინ დამტკიცდა. ვის შეეძლო გამოეთვალა მაშინ, რომ 21 ივნისის ბოლო შეხვედრა ასეთი მნიშვნელობის იქნებოდა?

13 საათსა და 45 წუთზე არგენტინის დროით დაიწყო 2 პრინციპული მატჩი. ერთი — „რივერ პლეიტზე“ ჰოლანდიასა და იტალიას შორის, ერთიც — კორდობაში, გფრ-ისა და ავსტრიის მონაწილეობით. და აი პირველი დამთხვევა: იქაც და აქაც გოლი მე-19 წუთზე გავიდა. „რივერ პლეიტზე“ ბურთი საკუთარ კარში ჩაჰრა ჰოლანდიელმა ბრანდტსმა, კორდობაში კი რუმენიგემ გაიყვანა წინ მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ ეს დამთხვევა ამავე დროს სხვა, უფრო ტრაგიკული ანალოგიის მიზეზიც გახდა. „რივერ-პლეიტზე“, ისევე როგორც კორდობაში, დამარცხდა ის გუნდი, რომელმაც პირველმა შეარხია მეტოქის კარის ბადე.

იტალიელებმა აშკარად დაჰკრეს ვიცე-ჩემპიონს პირველ ტაიმში. თანაც ჰაპელ[illegible] შე-ცდომა [illegible] პერსონალურ[illegible] სის ნეესკენსი „დაიკარგა“ თავისი გუნდისთვის ისე, რომ როსის უვნებელყოფაც ვერ შეძლო ჰაპელი გვიან მიხვდა თავის შეცდომას და მხოლოდ შესვენების შემდეგ მოახერხა ძალების გადაჯგუფება.

მაგრამ ახლა უკვე საპასუხო შეცდომა მოსდის ბეარზოტს. ამ შეცდომის შედეგად იტალიელები კარგავენ კონტროლს მინდვრის შუაგულში და მთლიანად უთმობენ სივრცეს მეტოქეს, რომელიც მშვიდად იწყებს საპასუხო შეტევების ორგანიზაციას. მატჩის შემდეგ ბეარზოტი იტყვის: კაუზიო მხოლოდ იმიტომ შევცვალე, რომ დასვენების საშუალება მიმეცა მისთვისო. საინტერესოა, რისთვის აცვენებდა ბეარზოტი კაუზიოს, თუ ამ შეხვედრას დათმობდა?

ჰოლანდიამ ერთბაშად მოიგო სივრცე, მოიგო დრო და მასთან ერთად მოქმედების თავისუფლებაც, ასეთ პირობებში ჰოლანდია საშიშია თავისი რკინისებური ნებისყოფით და საბრძოლო თვისებებით. გარეგნულად ამ გუნდის თამაშს თითქოს არცა აქვს ეფექტი, ვინაიდან მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი გადაწყვეტილება უაღრესად მარტივია და რაციონალური. მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ ამ მოჩვენებითი ლაკონიურობის მიღმა ღრმა შინაგანი ძალა იმალება.

50-ე წუთზე ბრანდტსმა გამოასწორა თავისი შეცდომა — შორიდან უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მართალია, ამ მომენტისთვის ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჰოლანდიის ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ მას არ შეეძლო ნაკლები წინააღმდეგობის გზით ევლო. იგი, როგორც წესი, პირველიდან ბოლო წუთამდე ჩაფლულია თამაშში და ბრძოლას თავს ანებებს მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის ლიმიტი ამოიწურება. ჰაანმა ლოგიკური წერტილი დაუსვა ვიცე-ჩემპიონის უპირატესობას, რომელიც პირველი ტაიმის მიხედვით ერთობ საეჭვო გვეჩვენა.

ეს მართლაც უმძიმესი წუთები იყო იტალიისთვის. გუნდს, რომელიც ორი კვირის მანძილზე ასე დამაჯერებლად მიიკვლევდა გზას უმაღლესი მიზნისკენ, ახლა ავსტრიელთა გამარჯვება გაუხდა სანატრელი კორდობაში. მაგრამ წარმოიდგინეთ, ხსნა სწორედ იქიდან მოვიდა.

მსოფლიო ჩემპიონი რაღაც ფატალურად იყო განწირული, თუმცა ანგარიში სწორედ მან გახსნა. მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ ფოგტსმა, დიახ ფოგტსმა და არა რომელიმე ავსტრიელმა, გაათანაბრა ანგარიში (აი კიდევ ერთი ანალოგია „რივერ პლეიტის“ მატჩთან). 7 წუთის შემდეგ ავსტრიელთა ცენტრფორვარდმა კრანკლმა, ბოლოს და ბოლოს, წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ მცირე ხნით. ახლა უკვე ჰოლცენბაინი ათანაბრებს ანგარიშს. მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეძლო ჩემპიონმა ამ მატჩში. შეხვედრის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე კრანკლმა გაიტანა პრესტიჟის გოლი.

იტალია გადარჩა სირცხვილს, იმ მძიმე ხვედრს, რასაც აშკარად არ იმსახურებდა. მსოფლიო ჩემპიონმა კი საბოლოოდ დათმო თავისი უფლებამოსილება. ეს იყო დიდი გუნდის კარიერის დასასრული.

ჩაძირული ხომალდი პირველად მისმა უცვლელმა მესაჭემ ჰ. შიონმა მიატოვა. დაიმსხვრა ილუზიები, იმედები, დაიმსხვრა ლეგენდად ქცეული ძალა და სრულიად მოულოდნელად გამოირკვა, რომ ჩაძირულ ხომალდს ბევრ ადგილას ჰქონია ბზარი, რომელიც მანამდე მოჩვენებითი კეთილდღეობის ფონზე არც კი ჩანდა.

შიონმა იმავ საღამოს დაადასტურა თავისი გადადგომა, პარასკევს კი ნაკრების შემადგენლობა ოთხმა ვეტერანმა დატოვა (ჰოლცენბაინმა, შვარცენბეკმა, ბეერმა და ფოგტსმა).

(დასასრული მე-4 გვ.)

# დიდი ფეხბურთის ზეიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეთანიის გადასახედზე

მერვე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე არსებობს საცხენოსნო გამაჯანსაღებელი ჯგუფები. მეცადინეობა ტარდება როგორც დახურულ შენობაში, ასევე გარეთ, ღია ცის ქვეშ — ყოველდღე, გარდა ორშაბათისა.

წლეულს აქ საცხენოსნო ტურიზმსაც მოჰკიდეს ხელი, რომელიც შეიცავს საველე სვლას 30 კმ-ის მანძილზე. ცხენოსნობის მოყვარულები ორდღიან ექსკურსიებს აწყობენ მარშრუტით: თბილისი — ბეთანია — თბილისი, თბილისი — წყნეთი — თბილისი. გზადაგზა ეცნობიან საქართველოს ისტორიულ ძეგლებს: ბეთანიას, კოჯრის ციხეს და სხვ. საცხენოსნო ტურიზმს, რომელმაც სულ ახლახან აიდგა ფეხი, დიდი პერსპექტივა აქვს: მომავალი წლიდან გაიხსნება ახალი მარშრუტები თბილისის ზღვის მიდამოებში და ბაკურიანში (მარხილებით). საცხენოსნო ტურიზმი იზიდავს სტუდენტებს, მუშა-მოსამსახურეებს, პენსიონერებსაც კი.

გამაჯანსაღებელი პუნქტის დახურული მანეჟი (უფროსი თამაზ ქავთარაძე) აწყობს ბავშვების გასეირნებას ცხენებით თბილისის ქუჩებში, ცირკის მიდამოებში.

ყოველივე ეს ხდება გამოცდილი მხედარ-ინსტრუქტორების მეთვალყურეობით.

ახლახან ცხენოსნობის მოყვარულებმა (უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა) ჩაატარეს საველე სვლა მდინარე ვერეს სათავეებისაკენ — მონასტერ ბეთანიის შემოგარენში. ჯგუფი 12 კაცისაგან შედგებოდა, ლაშქრობა მეტად საინტერესო იყო. ცხენოსნებმა შემდეგ სოფელ წყნეთში გადაინაცვლეს. საველე სვლამ 4 საათს გასტანა.

* * *

**სურათზე:** საცხენოსნო ტურიზმის მოყვარულები ბეთანიის მიდამოებში.



თ. ქიქავას ტექსტი და ფოტო.

# ერთი უსაფუძვლო ბრალდების შესახებ

დასასრული

**ჰოლცენბაინი:** დიდხანს ჩუმად ვიყავი, იმიტომ რომ პირზე ვეებერთელა ბოქლომი მედო და ნაკრებში მსურდა თამაში. ახლა კი ყველაფერს ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ადგილზე მოსულებმა სიმართლე იცოდნენ.

**შვარცენბეკი:** უკანასკნელ წლებში მხოლოდ ერთი სიტყვა მესმოდა — დისციპლინა. დისციპლინა — ჭამაში, დისციპლინა — ძილში, დისციპლინა — ფიქრის დროს. ასეთ რეჟიმს რობოტი თუ გაუძლებს მხოლოდ.

**ბეერი:** ჩვენთან დამოკიდებულებას მხოლოდ ბრძანების ფორმა ჰქონდა. ჩვენ კი ადამიანებად ვთვლიდით თავს. იქნებ ეს შეცდომა იყო?

**ფოგტსი:** დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია. ახლა ოჯახს უნდა მივხედო.

მაიერმა არ მიიღო კაპიტნის ხელსახვევი ფოგტსისგან. თანაგუნდელთა სიტყვებს კი ასეთი კომენტარი გაუკეთა:

— ნაკრებში თამაშს ჯერჯერობით ვაპირებ, ამიტომ იძულებული ვარ ჩუმად ვიყო. მაგრამ როცა დავამთავრებ თამაშს, ისეთ ამბებს მოვყვები, თმა ყალყზე დაგიდგებათ.

მსოფლიო ჩემპიონი სკანდალით წავიდა დიდი ფეხბურთიდან. მან, როგორც ჩანს, თავისი დრო მოსჭამა.

— გაუმარჯოს ახალ ჩემპიონს! ისმოდა იმ დღეს მხიარული შეძახილები „რივერ-პლეიტზე“. მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი იყო გარკვეული გარდა იმისა, რომ ჰოლანდიამ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

4 წლის წინ ბრაზილიამ პრინციპული ბრძოლა წააგო პოლონეთთან. პოლონეთს მაშინ ბრინჯაოს ჯილდო ერგო, ბრაზილიას — არაფერი... თავისი გულშემატკივრების რისხვის გარდა. დადგა რევანშის დღე, მაგრამ მხოლოდ რევანშისა? იქნებ, ამ შეხვედრის შედეგზე გაცილებით უფრო მეტი რამ არის დამოკიდებული? აი, არგენტინელთა სუნთქვა რომ არ ისმოდეს ზურგს უკან, იქნებ კუტინიოს უფრო კონკრეტული ვექსილი გაეცა?

ბრაზილიამ თამაში ისე დაიწყო, როგორც ჰქონდა ჩაფიქრებული და წარმოიდგინეთ, პირველ წარმატებასაც შედარებით ადრე მიაღწია, სულ რაღაც მე-13 წუთზე მერე კი... ინიციატივა პოლონელებს დაუთმო.

ლატო, შარმახი, დეინა — სამი ესოდენ გამოცდილი მებრძოლი და ამდენი გამოუყენებელი შესაძლებლობა. ბრაზილიელები თითქოს არ თამაშობენ ცუდად, ბურთიც სულ მათთანაა, განსაკუთრებით მინდვრის შუაგულში. მართალია, სისწრაფე ოდნავ აკლიათ, ჟინიც, მაგრამ მთავარი ხომ მაინც სივრცეა? მაშ რაღას უნდა ნიშნავდეს ეს სახიფათო შეტევები მათს კართან. იქნებ ტაქტიკის შეცვლაა საჭირო, იქნებ შეტევის გაძლიერება, მით უმეტეს, რომ ლატომ აგერ საპასუხო ბურთიც კი გაიტანა.

არა, ასე თამაში არ შეიძლება. ასე ფინალიც შეიძლება ოხრად დაგრჩეს და ბრინჯაოს მედლებიც. და თითქოს ამ არაარსებული საუბრის პასუხად მინდორზე ერთბაშად დატრიალდა ცნობილი ბრაზილიური კარუსელი, სწრაფი თვალშეუვლები, თითქმის ჯადოსნური. 5 წუთი გრძელდებოდა ეს ფეიერვერკი, ზუსტად 5 წუთი, რომლის დროსაც ბევრი რამ ვნახეთ, 2 ულამაზესი გოლიც და ისიც, რასაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონისგან ველოდით.

აი, რატომ თვლიდნენ ბრაზილიას ფავორიტად. მხოლოდ ასეთი თამაშისთვის, ასეთი უმაღლესი კლასის ფეხბურთისთვის. მერე და რატომ შეწყდა ფეიერვერკი ასე მალე. მხოლოდ 5 წუთში?

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ბრაზილიელი ჟურნალისტები რაღაც ორაზროვნად ლაპარაკობდნენ:

— შედეგით კმაყოფილი ვართ. მესამე ადგილი, ასე თუ ისე, ტოვებს შთაბეჭდილებას. ისიც სასიამოვნოა, რომ მთელს ტურნირში ერთი მატჩიც არ წაგვიგია...

მაგრამ სათქმელს მაინც არ ამბობენ ბოლომდე. არა და ყველანი გაღიზიანებული იყვნენ გუნდის თამაშით, სადაც დაცვა აშკარად სჯობდა თავდასხმას. არ მოსწონდათ მათ შემადგენლობაც. მწვრთნელის ფსევდომეცნიერული ტერმინოლოგია არც ის მოსწონდათ, რომ კუტინიომ ვერც ერთ ფეხბურთელთან ვერ დაამყარა პირადი კონტაქტი. ლაპარაკი ფაქტიურად ყველაფერზე იყო ერთის გარდა — არასწორ ტაქტიკაზე, რომელიც გუნდმა თავის მთავარ იარაღად აირჩია.

— ახლა ამაზე თავისტეხა გვიანაა, — სინანულით ამბობდნენ ისინი, — კუტინიოს თავისი ცოდვების მონანიება შინ მოუხდება...

ამას მწვრთნელიც გრძნობდა. მან ისიც იცოდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულს უსათუოდ მოთხოვდნენ პასუხს. ამიტომ თავს იზღვევდა ყოველმხრივ. სუსტ თამაშს ფეხბურთელებს აბრალებდა — ზუსტად არ ასრულებენ ჩემს მითითებებსო. წარმატების შემთხვევაში, პირიქით, — დამიჯერეს და სწორედ ამიტომ გავიმარჯვეთო. მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ კუტინიომ ამ ჩემპიონატში ოდნავადაც ვერ შეუწყო ხელი თავის გუნდს, დააბნია იგი გაუგებარი თეორიებით და აშკარად გაუმართლებელი სქემებით.

ეს ყველაფერი რომ თავზე მოხვეული სიბრძნე იყო, რომელიც არ სჭირდებოდა ბრაზილიის ნაკრებს, რამდენჯერმე აშკარად გამოჩნდა, ყველაზე ნათლად კი პოლონელებთან თამაშის ხუთწუთიან მონაკვეთში, როცა როლში შესულმა ბრაზილიელებმა ორი ულამაზესი გოლი გაიტანეს და ოთხჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს. ასეთ ფეიერვერკს მეტოქეებიც არ მოელოდნენ. ამიტომ იდგნენ მოჯადოებულნი ერთ ადგილას და მხოლოდ თვალს ადევნებდნენ იმას, რაც მინდორზე ხდებოდა.

სამწუხაროდ, ბრაზილიამ მხოლოდ ერთხელ და ისიც ასე მოკლე პერიოდით შეძლო მწვრთნელის მიერ შემოთავაზებული ბორკილების დამსხვრევა. მერე კი გუნდი ისევ ძველ ტაქტიკას დაუბრუნდა და თამაშმაც მდორე ხასიათი მიიღო, სადაც იგრძნობოდა პოლონელთა ერთგვარი უპირატესობა.

ასე და ამგვარად მივადექით ჩვენი თხრობის მთავარ ნაწილს დაუთმო თუ არა პერუმ თავისი ბოლო შეხვედრა არგენტინას? ყველაფერი, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ჩემი პირადი აზრია. შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ მე მაინც შევეცდები ობიექტურად წარმოვადგინო ფაქტები. წინასწარ ვიტყვი მხოლოდ ერთს — პერუს ეს მატჩი არ დაუთმია. არგენტინამ დამსახურებულად მოიგო.

მაშ რატომ დაიბადა ასეთი მცდარი აზრი? მხოლოდ იმიტომ, რომ არგენტინამ წარმატებით გადაჭრა მის წინაშე მდგარი ამოცანა.

რატომ, რა მოტივებით უნდა წასულიყო დათმობაზე პერუ? გამორიცხულია ის, რომ კალდერონს, ისევე როგორც პერუს მთელ გუნდს არ სცოდნოდათ თუ რა მოელოდათ შინ ასეთი ანგარიშით მარცხის შემთხვევაში. სხვათა შორის, მეორე დღეს გუნდი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ არც ერთ ფეხბურთელს არ უსარგებლია პირდაპირი რეისით ბუენოს აირესიდან ლიმამდე. ისინი სხვა გზით ჩაფრინდნენ შინ, მაშინ როცა მათ არავინ ელოდა. კალდერონმა კი უეცრად კოლუმბიაში ამოჰყო თავი.

ახლა ისიც ვთქვათ: ჰქონდა თუ არა პერუს გამარჯვების შანსი ამ დღეს? ჩემი აზრით, და სხვებიც ალბათ ასე ფიქრობენ — არა, არგენტინა უსათუოდ მოიგებდა ამ ბრძოლას, ვინაიდან ძლიერი იყო მეტოქეზე, უკეთ თამაშობდა და ამოცანა კონკრეტული ჰქონდა გადასაჭრელი.

ესე იგი, ეჭვს იწვევს მხოლოდ ანგარიში.

იქნებ, თავიდანვე უარი თქვა პერუმ თამაშზე. მაშინ რაღას ნიშნავს ის სახიფათო მომენტები, რომლებიც მატჩის დასაწყისში შეიქმნა არგენტინელთა კართან? განსაკუთრებით დამამახსოვრდა 2 შემთხვევა. ერთი — მუნანტეს უძლიერესი დარტყმა, რომელიც ძელს მოხვდა და მეორე — ობლიტასის სახიფათო გარღვევა. რომ გასულიყო ეს ბურთები, მაშინ გარიგებას რაღა ეშველებოდა?

არა და, რა მოხდა? ჩემი აზრით, არაფერი განსაკუთრებული. დასაწყისში არგენტინელები ღელავდნენ, ხშირად ცდებოდნენ და კინაღამ დაისაჯნენ კიდეც ამისთვის. მერე მდგომარეობა გამოსწორდა და მაშინვე გამოიკვეთა მასპინძლების უპირატესობა ყველა რგოლში.

და თუ მაინც შეთანხმებაზე ვლაპარაკობთ, რატომ არ გაჩერდა ორივე მხარე 4 გოლზე? გაუგებარია.

ახლა ამ გუნდების სხვა შეხვედრებიც გავიხსენოთ ერთმანეთში. პერუ არასდროს ყოფილა უხერხული მეტოქე არგენტინისთვის. ამას სტატისტიკაც ადასტურებს. მეტსაც გეტყვით, ჩემპიონატის წინა საკონტროლო მატჩებში არგენტინამ ორჯერ დაამარცხა ეს გუნდი ლიმაში. ერთხელ ანგარიშით 2:1 და ერთხელ 3:1. მაშ რაღატომაა ასეთი მოულოდნელი შინ გამარჯვება?

ამ მატჩის მსვლელობას ჩვენ პრესცენტრში ვადევნებდით თვალს. იქ სიყალბე არავის შეუნიშნავს. პირიქით, უნდა გენახათ რა სიხარულს იწვევდა არგენტინელ ჟურნალისტებში ყოველი გოლი. ნუთუ ყველა მსახიობობდა? მაგრამ ასეთი რამ საერთოდ არ ხდება. შეუძლებელია მთელი ქვეყანა, 25 მილიონი კაცი, შეთქმულებაში მონაწილეობდეს და იყოს ასეთი გულწრფელი.

არა, ამაში ვერავინ გადამარწმუნებს: არგენტინამ ამ დღეს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება. იქ კი, როგორც იცით, ჩემპიონატის მასპინძელმა თავის თავსაც გადააჭარბა, როცა სამჯერ აიღო დაუმორჩილებელი და ძლიერი მეტოქის კარი. მაშ რაღად გვიკვირს უფრო დაბალი რანგის გუნდთან გამარჯვება?

რატომ? იმიტომ, რომ ზოგჯერ არ გვიყვარს ადვილად იმის დაჯერება, რაც ერთი შეხედვით წარმოუდგენელი გვეჩვენება. მაგრამ დიდ სპორტში არსებობს უმაღლესი მობილიზაციის უნარი. მახსოვს, როგორ მოიგო პირველი ოლიმპიური მედალი ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ ვიქტორ სანეევმა მეხიკოში. მეექვსე ცდამდე იგი აგებდა ბრძოლას ბრაზილიელ პრუდენსიოსთან და ამ ბოლო ნახტომში მან თითქმის შეუძლებელი შეძლო. გამარჯვება ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია, მაგრამ იგი მაინც მოვიდა იმიტომ, რომ სანეევს ჰქონდა ასეთი მობილიზების უნარი.

არგენტინელებმაც შეძლეს ეს.

ნ. ბუზუშვილი.

# სტარტზეა სპორტული იმედები

**ჩვენი** ქვეყნის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 130 „ყველაზე სპორტული“ კლასის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას „იმედის სტარტებში“, რომელიც 1-დან 12 ოქტომბრამდე არტეკში გაიმართება.

კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ბავშვთა მესამე საკავშირო თამაშების ფინალურ ასპარეზობაში ყირიმში თავს მოიყრის 3600 მოსწავლე თავიანთი მწვრთნელებითა და ფიზკულტურის მასწავლებლებით. აქ ისინი ისწავლიან, დაისვენებენ და გაითამაშებენ ჩემპიონის ჯილდოებს. ამაზე ითქვა 22 სექტემბერს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში პრეს-კონფერენციაზე.

„იმედის სტარტები“ — ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშებია, რომელშიც მონაწილეობენ IV-V და VI-VII კლასის მოსწავლეები. ამ ორი „საფეხურის“ ბავშვთა შეჯიბრების პროგრამაშია — სხვადასხვა სპრინტერულ დისტანციაზე რბენა და ცურვა, კროსი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, კომბინირებული ესტაფეტა, სხვადასხვა ვარჯიშები.

ეს მასობრივი შეჯიბრებები პირველად 1976 — ოლიმპიურ წელს ჩატარდა და მაშინვე მოიპოვა პოპულარობა. ახლა თამაშების წინასწარ ეტაპებში ასიათასობით რაზმმა და კლასმა მიიღო მონაწილეობა (საკდეს).


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2).

30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს

**ფეხბურთი**

უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი)

**30 სექტემბერს —**

**სათადარიგო შემადგენლობანი**

დასაწყისი 17 საათზე.

**1 ოქტომბერს —**

**ძირითადი შემადგენლობანი**

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 28, 29 სექტემბერს დილის 10 საათიდან. საერთო გაყიდვა 1 ოქტომბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.



რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-64; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-61; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; კადრების — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 02222